

სტუდენტის უფლებები



მარნეულის კოლეჯში დაცულია პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები. შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

კოლეჯის პროფესიული სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში;
- მოსთხოვოს კოლეჯის ადმინისტრაციას კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით, პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებითა და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
- ისარგებლოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მატერიალური რესურსით;
- ისარგებლოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსით;
- ისარგებლოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინფორმაციული ტექნოლოგიებითა და საშუალებებით;
- ისარგებლოს კოლეჯის ინფრასტრუქტურით;
- მოითხოვოს კონსულტირება და ინფორმირება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ;
- მოითხოვოს მის შესახებ არსებული და დამკვეთისათვის ცნობილი პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დაცვა;
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- მონაწილეობა მიიღოს მისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
- მიიღოს მონაწილეობა კოლეჯის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაში;
- ისარგებლოს შიდა და გარე მობილობის უფლებით;
- ისარგებლოს სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის უფლებით;
- ისარგებლოს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების უფლებით;
- გაასაჩივროს სწავლის შედეგის შეფასება;





- ისარგებლოს კოლეჯის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის უფლებით;
- ისწავლოს და განახორციელოს საქმიანობა ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოში;
- მოითხოვოს პერსონალური ინფორმაციის დაცვა;
- ისარგებლოს დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამებით;
- მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესის მიღმა განხორციელებულ ღონისძიებებში;
- მიიღოს კონსულტაცია პროფორიენტაციასა და კარიერულ დაგეგმვაზე;
- ჩამოაყალიბოს სტუდენტური თვითმმართველობა;
- მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;
- მიმართოს კოლეჯს ინიციატივით;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისას ან გაუქმების შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც ჩაირიცხა ან ისარგებლოს მობილობის უფლებით.

